585/
1988/2

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 8

1988

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (577) | აგვისტო | 1988 წელი


13921

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


195. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

196. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

197. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 74-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.

198. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ი. ქალაგანიძის საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

199. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის" სისტემაში გამწმენდ ნაგებობათა მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის და ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიების ინფორმაციის შესახებ.

200. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

201. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.


საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა


202. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

203. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს გაუქმების შესახებ.

## განყოფილება მეორე

204. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. პ. გოგიას მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

205. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ი. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

206. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ე. აზაურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

207. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. გ. გოგობერიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

208. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. მ. დოლაბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

209. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ა. კვერნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

210. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. დ. კუბლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

211. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ა. ყიდკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

212. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. კ. ჯაბადარის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

213. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

214. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. მ. ბეროშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

215. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ზ. გალოგრეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

216. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. რ. გასანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

217. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

218. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ი. ზურაბიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

219. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. იანქოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

220. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

221. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

222. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მუზეუმ-ნაკრძალ „ვარძიის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

223. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. გონჩაროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

224. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. ი. ღარიბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

225. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ზ. იაკობაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

226. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

227. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ხ. ბებიასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

228. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ბ. ბელოზეროვასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

229. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ვ. ბერიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

230. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ი. გორგილაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

231. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ფ. ზასლავსკისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

232. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ც. ვ. თოდუასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

233. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. გ. კეკნაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

234. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ნ. ყენიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

235. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

236. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

237. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ი. ბაწელაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

238. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ნ. შაშკინასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

239. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ი. ჩარკვიანისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 195 საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტისათვის სახსრების ჩარიცხვის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 21 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1989 წლის 1 იანვრიდან:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 5, მუხ. 4);

საქართველოს სსრ 1959 წლის 26 ნოემბრის კანონი „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ" (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 10, მუხ. 7);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 25 მაისის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის თაობაზე" (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 15, მუხ. 232);

საქართველოს სსრ 1962 წლის 22 ივნისის კანონი „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 18, მუხ. 289);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 ივნისის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ., № 20, მუხ. 411);

საქართველოს სსრ 1965 წლის 19 ოქტომბრის კანონი „იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ., № 28, მუხ. 589);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1969 წ. , № 10, მუხ. 179);

საქართველოს სსრ 1969 წლის 26 დეკემბრის კანონი „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცე-

ბის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1969 წ., № 12, მუხ. 234);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 12, მუხ. 242);

საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონი „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 126);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1980 წ., № 12, მუხ. 367);

საქართველოს სსრ 1981 წლის 19 ივნისის კანონი „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 7, მუხ. 135) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულების დამტკიცებას „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 9 აგვისტო.
№ 1831—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 196 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

„კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტისათვის სახსრების ჩარიცხვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 21 მარტის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420) შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნეს 139-ე მუხლი.

2. 205-ე მუხლის პირველ ნაწილში ციფრები „134-139-ე“ შეიცვალოს ციფრებით „134-138-ე“.

II. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1989 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 9 აგვისტო.
№ 1832—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 197 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 74-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 25 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12, მუხ. 202; 1977 წ., № 4, მუხ. 43) 74-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პირები, რომლებიც მოთავსებული არიან საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიების საპყრობილე, სადისციპლინო იზოლატორებში, კარცერში, საკნის ტიპის სადგომებში, აგრეთვე განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიის სამარტოო საკანში, საკვებს შემცირებული ნორმებით იღებენ".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 9 აგვისტო.

№ 1833- XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 198 ამხ. შ. ი. ჭალაგანიძის საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. შოთა ივანეს ძე **ჭალაგანიძე** საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 10 აგვისტო.

№ 1834—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 199 რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ სისტემაში გამწმენდ ნაგებობათა მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის და ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიების ინფორმაციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა აგროსამრეწველო კომპლექსის და ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიების ინფორმაცია რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ სისტემაში გამწმენდ ნაგებობათა მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მეფრინველეობის ფაბრიკებში ამ მხრივ ძალზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

გაერთიანებისა და მისი სისტემის საწარმოთა ხელმძღვანელები არაეფექტიანად იყენებენ გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილ სახსრებს, არ იღებენ საჭირო ზომებს საწარმოო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების გაწმენდისა და გაუვნებლების უზრუნველსაყოფად, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ გამწმენდ ნაგებობათა ექსპლუატაციის წესების დაცვას, გეგმური და პროფილაქტიკური რემონტის ხარისხიანად ჩატარებას, ობიექტების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, რის შედეგად მეტი წილი გამწმენდი ნაგებობები უმოქმედოდაა.

კინდღის, ოჩამჩირის, ნორიოს, ახალქალაქის, მეჯვრისხევის, ენისლის, მაღაროს და სხვა მეფრინველეობის ფაბრიკებში სავალალო მდგომარეობაა ნახმარი წყლების გაწმენდის მხრივ. 1987 წელს მდინარეები და წყალსატევები გაჭუჭყიანდა 4,5 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი გაუწმენდავი წყლით. წყლის აუზის გაჭუჭყიანების ინტენსიური წყაროა აგრეთვე თბილისის, სამტრედიის, წყალტუბოს, კასპის რაიონის მირიანის და სხვა მეფრინველეობის ფაბრიკებში პროექტების დარღვევით აგებული გამწმენდი ნაგებობები.

კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკას არა აქვს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ტერიტორიის შინა და გარე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ყველა ნაგებობა, რის გამოც გარემო ყოველწლიურად ჭუჭყიანდება 650 ათას კუბურ მეტრამდე გაუწმენდავი საწარმოო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლებით, ხოლო არსებული ნაგებობები საექსპლუატაციოდ გადაეცა მრავალი სამშენებლო და სამონტაჟო დეფექტით (სამშენებლო ორგანიზაცია — ყოფილი საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 75 მოძრავ-მექანიზებული კოლონა) და პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს წყლების როგორც ბიოლოგიურ, ისე მექანიკურ წმენდას.

ბოლნისის მეფრინველეობის ფაბრიკის გამწმენდი ნაგებობები მუშაობს გაუვნებლების მხოლოდ 30 პროცენტის ეფექტიანობით. ანალოგიური მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობაა ოჩამჩირის, მახარაძისა და კასპის რაიონის მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკებში.

გამწმენდ ნაგებობათა ექსპლუატაციის ტექნოლოგია სისტემატურად ირღვევა თამარისის, ახალქალაქის, ახალციხის, კოდისა და ქობულეთის მეფრინველეობის ფაბრიკებში. მაგალითად, თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკაში ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობები არასწორი ექსპლუატაციის გამო მთლიანად გამოსულია მწყობრიდან. დოზატორები, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, საქლორატორო და სამსხვრეველა განკომპლექტებულია. საწარმოო წყლები გაუწმენდავად ჩაედინება მდინარე ხრამში. ტერიტორია ფაბრიკიდან გამწმენდ ნაგებობებამდე ძალზე მოუვლელია — 15 ჰექტარზე მეტი ფართობი გაჭუჭყიანებულია წუნწუხით.

ახალქალაქის მეფრინველეობის ფაბრიკის გამწმენდი ნაგებობები გამოუყენებელია. შედეგად ჭუჭყიანდება მდინარე ფარავანი.

თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის გამწმენდი ნაგებობები დიდი ხანია არ ფუნქციონირებს.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ ხელმძღვანელობა, შესაბამისი სამსახურები, მეფრინველეობის ფაბრიკის დირექციები დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენენ ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი. სისტემის საწარმოთა გამწმენდი ნაგებობები სათანადოდ არ არის აღჭურვილი ეფექტიანი დანადგარებით, ადგილი აქვს მათი მშენებლობის გეგმების ჩაშლას, ახალი ნაგებობების საექსპლუატაციოდ გადაცემისა და არსებულთა რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოების დაგვიანებით ჩატარებას. უმრავლეს ობიექტებზე არ წარმოებს ჩამდინარე წყლების ხარისხიანი ლაბორატორიული ანალიზი, არ არის შემუშავებული ბუნების დაცვის ღონისძიებათა წლიური და პერსპექტიული გეგმები, არ აღირიცხება წყლის მოხმარება-ჩაშვების ოდენობა, არ მუშავდება შესაბამისი ნორმები. ამ ობიექტებზე არა აქვთ აგრეთვე სპეციალური ნებართვა წყლის მოხმარება-ჩაშვებაზე.

არ წარმოებს მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობათა პროექტების ჯეროვნად დამუშავება. საფუძვლიანი გეოლოგიური შესწავლის გარეშე ორი წლის წინათ აშენებული კასპის რაიონის მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკა ქანების მოძრაობის გამო დაინგრა.

ცალკეულ საწარმოებში შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა მათ შესახებ მასალების საგამოძიებო ორგანოებში გადაცემა.

რესპუბლიკის ბუნების დაცვის ორგანოები, სამინისტროები, უწყებები საჭირო მზრუნველობით არ ეკიდებიან ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოები და მათი აღმასკომები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია მეფრინველეობის ფაბრიკები, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებას ამ საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვს“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუხრელად შეასრულოს ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნები;

დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებები მეფრინველეობის ფაბრიკების მიერ წყალსატევებისა და მდინარეთა აუზების გაჭუჭყიანების ასაკვეთად;

განახორციელოს სისტემატური კონტროლი გამწმენდ ნაგებობათა გამოყენების ეფექტიანობის, ჩამდინარე წყლების გაწმენდის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებისადმი;

განიხილოს მეფრინველეობის ფაბრიკების იმ ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა მიზეზით მიმდებარე ტერიტორიებზე განსაკუთრებით მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა შეიქმნა.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა:

აამაღლოს „საქაგრომშენის“, რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვისა“ და მისი სისტემის მეფრინველეობის ფაბრიკების, აგრეთვე რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა აღნიშნული ობიექტების მშენებლობის, არსებულთა რეკონსტრუქცია-შეკეთებისა და ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის;

კონტროლი გაუწიოს გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ სისტემის საწარმოებში ბუნების დაცვის წლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავებისა და მათი შესრულების მდგომარეობას; დასახოს კონკრეტული ღონისძიებები მეფრინველეობის ფაბრიკების გამწმენდ ნაგებობათა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

3. საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება იმ მეფრინველეობის ფაბრიკათა საქმიანობის შეჩერების შესახებ, რომლებიც გარემოს აჭუჭყიანებენ მავნე ნარჩენებით.

4. გაერთიანებებმა — „საქფრინველმრეწვმა“ და „საქსოფლქიმიამ“ ერთობლივად შეიმუშაონ და განახორციელონ მეფრინველეობის ფაბრიკებში დაგროვილი ნაკელის და წუნწუხის გადამუშავებისა და სოფლის მეურნეობაში ორგანულ სასუქად გამოყენების ღონისძიებანი.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა აამაღლოს სათანადო სამსახურების პასუხისმგებლობა მეფრინველეობის ფაბრიკების პროექტებისა და მშენებლობის ხარისხის კონტროლისადმი.

6. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გაამძაფროს კონტროლი ბუნების დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებისადმი.

7. რესპუბლიკის პროკურატურამ გააძლიეროს რაიონებისა და ქალაქების პროკურორთა ზედამხედველობა მათს სამოქმედო ტერიტორიაზე ობიექტების ხარისხიანად მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ მიღებისადმი.

8. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომებს:

მკაცრად მოსთხოვონ მოქმედი და მშენებარე მეფრინველეობის ფაბრიკების დირექციებს გამწმენდ ნაგებობათა წესრიგში მოყვანა, მშენებარე ნაგებობათა პროექტების სრულად განხორციელება;

შექმნან მეფრინველეობის ფაბრიკებში დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, მათ სისტემატურ და მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარონ ადგილებზე გამწმენდ ნაგებობათა ექსპლუატაციის საკითხები;

აამაღლონ დეპუტატთა ფორმირებების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის პასუხისმგებლობა ბუნების დაცვის ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელებაში;

უზრუნველყონ ბუნების დაცვის თაობაზე კანონმდებლობის მკაცრად შესრულება.

9. რესპუბლიკურმა პრესამ სისტემატურად გააშუქოს, ხოლო საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა პერიოდულად მოაწყოს გადაცემები მეფრინველეობის ფაბრიკების გამწმენდ ნაგებობათა მუშაობის შესახებ.

10. რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის" თავმჯდომარემ ამხ. ვ. გვარჯალაძემ აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1989 წლის 1 ოქტომბრისათვის.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 12 აგვისტო.

№ 1836—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 200 „კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირში კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 22 მარტის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1988 წ., № 3, მუხ. 39).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 15 აგვისტო.

№ 1841—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 201 კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

მასობრივ ღონისძიებათა ჩატარების დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა ან ჩატარების წესის დარღვევა გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას სამას მანეთამდე, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, — ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით თხუთმეტ დღემდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში, ან კრების, მიტინგის, ქუჩაში მსვლელობის, დემონსტრაციის ორგანიზატორის მიერ — გამოიწვევს დაჯარიმებას ათას მანეთამდე, ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით თხუთმეტ დღემდე.

კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციის ან ჩატარების დადგენილი წესის დარღვევა, ჩადენილი კრების, მიტინგის, ქუჩაში მსვლელობის ან დემონსტრაციის ორგანიზატორის მიერ ასეთივე მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის ზომების გამოყენების შემდეგ, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და დაისჯება ჯარიმით ორი ათას მანეთამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს შინაგან საქმეთა ორგანოების (მილიციის) ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევისათვის დაკავებულ პირებს სახალხო მოსამართლის მიერ საქმის განხილვამდე ამყოფებენ დაკავებულთა მოთავსების ადგილებში.

საქმეებს ამ ბრძანებულების I მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ დარღვევათა შესახებ ერთპიროვნულად, სამი დღის განმავლობაში განიხილავს სახალხო მოსამართლე.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოტანისას მოსამართლეს უფლება აქვს დაავალდებულოს დამრღვევი, რომელიც მოცემული ადგილის მცხოვრები არ არის, დატოვოს ეს ადგილი. მოსამართლის ასეთ მითითებათა აღსრულების წესს ადგენს სსრ კავშირის შინაგან საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთა სამინისტრო სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. ამ მითითებათა ალსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდევინება ხდება კანონით დადგენილი წესით.

3. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1) 174[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 174[1].** კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა

კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა ან ჩატარების დადგენილი წესის დარღვევა —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას სამას მანეთამდე, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, — ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით თხუთმეტ დღემდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში, ან კრების, მიტინგის, ქუჩაში მსვლელობის, დემონსტრაციის ორგანიზატორის მიერ, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათას მანეთამდე, ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით თხუთმეტ დღემდე“.

2) 24-ე მუხლის მეორე ნაწილს დაემატოს შემდეგი წინადადება: „სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში ადმინისტრაციული პატიმრობა შეიძლება დაწესდეს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებითაც“.

3) 27-ე მუხლის მესამე ნაწილს დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებით საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფასთან დაკავშირებული დარღვევებისათვის შეიძლება დაწესდეს ჯარიმა ათას მანეთამდე“.

4) 173-ე მუხლს სიტყვების „სახალხო რაზმელის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის“.

5) 208-ე მუხლს ციფრის „173-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „174[1]“.

6) 246-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვების „წვრილმანი ხულიგნობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევის“;

სიტყვები „ან სახალხო რაზმელის“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო რაზმელის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის“.

7) 247-ე მუხლის:

პირველ ნაწილში სიტყვები „იმ შემთხვევების გარდა, როცა განსაკუთრებული აუცილებლობის გამო სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით დაწესებულია ადმინისტრაციული დაკავების სხვა ვადები“ შეიცვალოს სიტყვებით „გამონაკლის შემთხვევებში განსაკუთრებული აუცილებლობის გამო სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

